



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
თ ე რ ჯ ო ლ ა  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 15

12/02/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული  
ერთეულის ხელმძღვანელის - აპარატის უფროსის თანამდებობაზე  
ზვიადი მეტონიძის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე, 34-ე, 43-ე, 45-ე მუხლების შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის 2018 წლის 25 იანვრის სხდომის №2 ოქმის საფუძველზე **ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** დანიშნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - აპარატის უფროსის თანამდებობაზე ზვიადი მეტონიძე 12 (თორმეტი) თვის გამოსაცდელი ვადით.

**მუხლი 2.** თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1600 (ათასექვსასი) ლარით.

**მუხლი 3.** ბრძანება ჩაბარდეს საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში უფროს სპეციალისტს, თერჯოლის მერიის საფინანსო სამსახურს და ზვიადი მეტონიძეს.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.  
ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო